ავტორიტარიზმის რუკა საქართველოში

მეთოდოლოგია

ავტორიტარიზმის რუკა საქართველოში

მეთოდოლოგია

იანვარი, 2024

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise

მეთოდოლოგიის ავტორი:

დავით ზედელაშვილი
კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, მკვლევარი

მეთოდოლოგიის საფუძველზე შეიქმნა ავტოჰიტლერიზმის ჰუკა საქართველოში.

სარჩევი

1. საქართველოში ავტორიტარული და არადემოკრატიული პარტიების კვლევის მიმართულებები და მეთოდოლოგია 8

1.1 შესავალი – ჰეგემონის კლასიფიკაციიდან ავტორიტარულ პარტიებამდე 8

1.2 ავტორიტარული და არადემოკრატიული პარტიები და მათი როლი ავტორიტარიზმის შესწავლაში. 13

1.3. ავტორიტარული და არადემოკრატიული პარტიები საქართველოში – საკვლევი ლანდშაფტის მიმოხილვა 16

1.4 დასკვნა 21

ბიბლიოგრაფია 22

საქართველოში ავტორიტარული და არალიბერალური პრაქტიკების კვლევის მიმართულებები და მეთოდოლოგია

დავით ზედელაშვილი, კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise

1.1 შესავალი – ჰიბრიდული რეჟიმის კლასიფიკაციიდან ავტორიტარულ პრაქტიკებამდე

სუვერენიტეტის დაბრუნების შემდგომ, დაახლოებით ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, საქართველო სტაბილურად კლასიფიცირდება, როგორც ჰიბრიდული პოლიტიკური რეჟიმი ანუ პოლიტიკური რეჟიმი იმ „ნაცრისფერი ზონიდან", სადაც არც კონსტიტუციური დემოკრატიაა და არც სრულფასოვანი ავტოკრატია, თუმცა მას აქვს, ფორმალური თვალსაზრისით, ლიბერალურ-დემოკრატიული კონსტიტუცია. ამ კლასიფიკაციის შესახებ, როგორც დემოკრატიის სარეიტინგო გლობალური სააგენტოების ანგარიშებში (Freedom House 2023), ისე აკადემიურ ლიტერატურაში (Morlino, 2021) კონსენსუსი არსებობს.

ავტორიტარული რეჟიმების თანამედროვე განსაზღვრება პოლიტიკურ მეცნიერებაში ნეგატიური სახისაა. ავტორიტარულია რეჟიმი, რომელშიც ხელისუფლება დემოკრატიულად არ არის ანგარიშვალდებული (Linz, 1975). ავტორიტარული რეჟიმის ნეგატიური სახით განსაზღვრება, როგორც დემოკრატიული მმართველობის არმქონე პოლიტიკური რეჟიმისა, იწვევს ავტორიტარიზმის შესახებ კვლევების მეთოდოლოგიურ დამოკიდებულებას დემოკრატიის ნორმატიულ თეორიაზე. ამასთანავე, რამდენადაც თანამედროვე წარმომადგენლობით დემოკრატიებში არჩევნები საკვანძო მექანიზმია, ავტორიტარულ რეჟიმად კლასიფიკაციაზე მთავარ მეთოდოლოგიურ გავლენას ახდენს დემოკრატიული, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების განსაზღვრება.

2018-2020 წლების სადავო არჩევნებისა და „ქართული ოცნების" მმართველი რეჟიმის მიერ ძალაუფლების განსამტკიცებლად მიღებული ზომების კუმულაციური ეფექტების შეფასების შედეგად, საჯარო და აკადემიურ დისკურსში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს თეზისი საქართველოს მზარდი ავტოკრატიზაციის შესახებ (Kakachia and Lebanidze, 2023).

ავტოკრატიზაცია პროცესია, რომლის მიზანიც და შედეგიც მოცემული პოლიტიკური რეჟიმის ავტორიტარულად გარდაქმნაა (Lührmann and Lindberg 2019). ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს დავაკვირდეთ გლობალურ და რეგიონულ პრიზმაში. ასევე, ავტოკრატიზაციაზე მსჯელობისას, აკადემიურ ლიტერატურასა და გლობალური დემოკრატიის სარეიტინგო სააგენტოების ანგარიშებზე მსჯელობა, უმთავრესად, ორი მიმართულებით წარიმართება.

პირველ რიგში, ფასდება ავტოკრატიზაციის პროცესის გამო დამდგარი შედეგი, ავტორიტარული რეჟიმის კონსოლიდაცია, რაც აისახება რეჟიმის კლასიფიკაციის ცვლილებაში. შემდეგ ფასდება ავტოკრატიზაციის პროცესი და ამ პროცესში – დემოკრატიის ხარისხის გაუარესება.

საქართველოს შემთხვევაში, პირველი მიმართულებით, ჯერ გლობალურ სარეიტინგო სააგენტოებს რეჟიმის კლასიფიკაციის შეფასებები არ შეუცვლიათ, საქართველო რჩება ჰიბრიდულ რეჟიმად. მეორე მიმართულებით კი, მიუხედავად იმისა, რომ რეიტინგებში შენიშნავენ დემოკრატიის ხარისხის გაუარესებას, ამას, ჯერჯერობით, რეჟიმის კლასიფიკაციის ცვლილება არ მოჰყოლია.

რაც შეეხება დემოკრატიის ხარისხის მზარდ გაუარესებას, ეს გლობალური ტრენდის ნაწილია. კერძოდ, აკადემიური წრეები და დემოკრატიის სარეიტინგო სააგენტოები მიუთითებენ ავტოკრატიზაციის აღმავალი ტალღის შესახებ (V Dem 2023). აღნიშნულს ემპირიულ საფუძვლად უდევს დემოკრატიის სარეიტინგო სააგენტოების მიერ მოძიებული და დამუშავებული მონაცემები მსოფლიოს ქვეყნებში დემოკრატიის მდგომარეობის შესახებ. მიუხედავად აკადემიურად დახვეწილი და მრავალფეროვანი მეთოდოლოგიისა, რომელსაც ეს სააგენტოები იყენებენ, აღნიშნული მეთოდოლოგიით მიღებული შედეგები და მიგნებები მაინც მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს იწვევს აკადემიურ ლიტერატურასა და საჯარო დისკურსში (Treisman, 2023).

ბოლო პერიოდში, ძირითადი კრიტიკა მიმართულია არა იმისკენ, თუ რამდენად შინაარსობრივად ფართო და მომთხოვნია ის კრიტერიუმები, რომლებითაც დემოკრატიის მდგომარეობა ფასდება და რეჟიმის კლასიფიკაცია ხორციელდება, არამედ რამდენად არის დამოკიდებული ამ მეთოდოლოგიით მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია სუბიექტურ ფაქტორებზე (Little and Meng, 2023). განსაკუთრებით კრიტიკულ განხილვას იმსახურებს რაოდენობრივი

მონაცემების კოდირების მეთოდოლოგიური საფუძვლები და კოდირების განმახორციელებელი მკვლევრის მიკერძოების გავლენა როგორც კოდირებაზე, ისე მასზე დაფუძნებულ შედეგებზე.

უახლესი აკადემიური კვლევები აჩვენებს, რომ აღნიშნული მიკერძოება მართლაც მნიშვნელოვანი ფაქტორია. თუმცა ეს მიგნება არც შესაბამის მეთოდოლოგიებს უკარგავს ღირებულებასა და დამაჯერებლობას და არც მათ საფუძველზე მიღებულ შედეგებს, რეჟიმების კლასიფიკაციების ჩათვლით. მიკერძოების მნიშვნელოვანი და გარდაუვალი გავლენის მინიმიზაციისთვის, ფართო შედეგების მქონე დასკვნების გაკეთებისას, საჭიროა მეტი სიფრთხილე და თვითშეზღუდვა.

მიკერძოების არსებობა გარდაუვალია და აღმოფხვრას არ ექვემდებარება ისეთ ნორმატიულ ცნებებთან მიმართებით, როგორებიცაა დემოკრატია ან კონსტიტუციური დემოკრატია, რომლებიც ღირებულებითად ტევად თეორიებს ეფუძნება. ასეთ დროს შეუძლებელია ღირებულებითი განსჯის კომპონენტის სრულად გამორიცხვა ან ჩანაცვლება.

კვლევითი მოდელების ფორმალიზაციაც და სტატისტიკურ მონაცემებზე დაფუძნებაც ასეთ დროს განსაზღვრულ ღირებულებით განსჯასა და დასკვნას აძლიერებს, ან უარყოფს. როდესაც გაზომვის ობიექტი არის ნორმატიული მოთხოვნის დაკმაყოფილების ხარისხი, იქ ფორმალური მოდელი მხოლოდ ღირებულებითი განსჯის დამხმარე ინსტრუმენტია და მას ობიექტურ, ღირებულებითი შეფასებისგან დაცლილ განსჯად ვერ აქცევს.

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიის სარეიტინგო სააგენტოების მოდელები დინამიკურია და ქვეყნების დემოკრატიის ტრაექტორიას დროში განგრძობადად აკვირდება, ხშირად დემოკრატიის ხარისხის გაუარესება, უკუსვლა დროულად არ ფასდება და რეჟიმის კლასიფიკაცია არ იცვლება. ამას, მათ შორის, მეთოდოლოგიის უკვე განხილული ობიექტური ფაქტორებიც განაპირობებს.

თუმცა სარეიტინგო სააგენტოების მიერ გამოყენებული კრიტერიუმების ნაწილი უფრო ნაკლებ განიცდის ღირებულებით მიკერძოებას, შედარებით უფრო ობიექტურია. მხოლოდ მათ საფუძველზე დემოკრატიის მდგომარეობის შეფასება და მით უფრო, რეჟიმის კლასიფიკაციის განსაზღვრა, გამართლებული არ იქნება.

ნებისმიერ შემთხვევაში, კვლევითი პროგრამა, რომელიც საქართველოში ავტოკრატიზაციის პროცესსა და მის შედეგებს შეისწავლის, რეჟიმის კლასიფიკაციის ხარისხობრივ კრიტერიუმებს ვერ დაეფუძნება. ამ მიზნისთვის, სულ მცირე, იმგვარი მეთოდოლოგიის განვითარება და ოპერაციონალიზაცია იქნებოდა აუცილებელი, როგორსაც დემოკრატიის სარეიტინგო გლობალური სააგენტოები იყენებენ. მათი სამუშაოს დუბლირებასთან ერთად, რესურსების სიმწირე აკადემიურ და სამოქალაქო სფეროებში ამ გზის არჩევას ნაკლებად სასურველს ხდის.

მეტიც, რეჟიმის კლასიფიკაციასა და დემოკრატიის ხარისხობრივ მარკერებზე ფოკუსი მაშინ, როდესაც მიმდინარე პროცესზე ვსაუბრობთ, ნაკლები შედეგის მომტანია და განსხვავებულ მეთოდოლოგიურ პერსპექტივას მოითხოვს.

სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, მეთოდოლოგიური პერსპექტივა, რომელსაც ეს ნაშრომი საქართველოში ავტოკრატიზაციის მიმდინარე პროცესის შესწავლისთვის გვთავაზობს, არის პრაქტიკაზე დაფუძნებული მიდგომა (Glasius, 2018). აღნიშნული მიდგომა შედარებით ახალია პოლიტიკის მეცნიერებაში, თუმცა მისი ინოვაციურობიდან და მოქნილობიდან გამომდინარე, უფრო და უფრო მზარდად გამოიყენება.

პრაქტიკაზე დაფუძნებული მიდგომა საკვლევ ობიექტად ირჩევს არა რეჟიმს და მთლიანად სახელმწიფო ან პოლიტიკურ სისტემას, არამედ პრაქტიკებს. ავტორიტარიზმის მკვლევრებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა ავტორიტარული და არალიბერალური პრაქტიკები. მნიშვნელოვანია, რომ ეს პრაქტიკები არ მოიცავს მხოლოდ ფორმალურ-სამართლებრივ პრაქტიკებს, რომლებიც სახელმწიფო აქტორების მიერ ხორციელდება.

პრაქტიკის პერსპექტივა აფართოებს როგორც აქტორების წრეს (კერძო აქტორები როგორც საზოგადოების შიგნით, ისე ტრანსნაციონალური და საერთაშორისო კერძო და საჯარო აქტორები), ისე ამ პრაქტიკის მოქმედების არეალს სახელმწიფო სისტემის მიღმა (საზოგადოების სხვა ორგანიზაციების დონეზე და ასევე, საერთაშორისო დონეზე).

მნიშვნელოვანია, რომ ავტორიტარიზმის კვლევის პრაქტიკაზე დაფუძნებული პროგრამა უარს ამბობს ფოკუსზე არჩევნების მიმართ, რომელიც რეჟიმის ტიპების კლასიფიკაციის მიდგომაა და ამ უკანასკნელთა მეთოდოლოგიის ექსკლუზიურ ღერძს ქმნის. არჩევნები

მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა მასზე ექსკლუზიური ფოკუსი ავტორიტარული რეჟიმებისა და ავტორიტარული აქტორების ქცევის შესახებ, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაკარგვინებს.

ყველა ეს მეთოდოლოგიური რეორიენტაცია მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის ავტოკრატიზაციის პროცესის გასაანალიზებლად, მათ შორის, უკვე დამდგარი შედეგების შეფასებისა და პროგნოზირების კუთხითაც. ეს არ ნიშნავს, თითქოს პრაქტიკის მიდგომა არ იძლევა შესაძლებლობას, რომ დასკვნები რეჟიმის კლასიფიკაციასთან მიმართებითაც გაკეთდეს. ამ მხრივ, რეჟიმის კლასიფიკაციის ტრადიციულ ფოკუსზე უარის თქმა სრულებით არ ნიშნავს ამ საკითხის განუხილველად დატოვებას.

პრაქტიკის პერსპექტივის გამოყენება შესაძლებლობას იძლევა, რომ გაანალიზდეს ავტოკრატიზაციის უფრო ღრმა, თუმცა არანაკლებ საგანგაშო შრეებიც, რომლებიც რეჟიმის ტიპებსა და არჩევნებზე ფოკუსს შესაძლოა ყურადღების მიღმა დაეტოვებინა. მაგალითად, ავტორიტარი და არალიბერალური სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების თანამშრომლობა ტრანსნაციონალურ რეპრესიებში სამოქალაქო აქტივისტებისა და ჟურნალისტების მიმართ, ავტოკრატიზაციის მნიშვნელოვანი მარკერია (Gorokhovskaia and Linzer, Freedom House Report, 2022).

მაგალითისთვის, საქართველოში ასეთი შემთხვევაა აზერბაიჯანელი ჟურნალისტისა და სამოქალაქო აქტივისტის, აფგან მუხთარლის, საქმე, რომელიც უკანონოდ დააკავეს საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ნეიტრალურ ზონაში ასევე უკანონოდ გადასცეს აზერბაიჯანის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების თანამშრომლებს.

კანონგარეშე დაკავება და სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა, რაშიც სახელმწიფო აქტორების როლი ბუნდოვნი რჩება სახელმწიფოს მიერ საქმის გამოუძიებლობის გამო, მაღალი ალბათობით, დემოკრატიის სარეიტინგო სააგენტოების მეთოდოლოგიებს დაუსხლტება, თუმცა მის ანალიზს, როგორც ავტორიტარული და არალიბერალური პრაქტიკისა, მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია საქართველოს ავტოკრატიზაციის პროცესის ანალიზში.

1.2 ავტორიტარული და არალიბერალური პრაქტიკები და მათი როლი ავტორიტარიზმის შესწავლაში

ავტორიტარული პრაქტიკის შესწავლაზე დაფუძნებული კვლევითი პროგრამა პოლიტიკის მეცნიერებაში შემოიტანა გლასიუსმა, რომელმაც შემოგვთავაზა როგორც ავტორიტარული, ისე არალიბერალური პრაქტიკის (Glasius, 2021) განსაზღვრება და განმარტა მათ შორის გამიჯვნისა და ურთიერთკავშირის საკითხები.

ავტორიტარული და არალიბერალური პრაქტიკები ძირს უთხრის კონსტიტუციური დემოკრატიის ინსტიტუტებსა და ღირებულებებს, თუმცა ისინი განსხვავდება ***ზიანის ტიპის*** მიხედვით, რომელიც მათ ამ ინსტიტუტებისა და ღირებულებების მიმართ მოაქვთ. კერძოდ, ავტორიტარული პრაქტიკების შედეგია, ანგარიშვალდებულებისთვის ძირის გამოთხრა მაშინ, როდესაც არალიბერალური პრაქტიკები აზიანებს ინდივიდის ავტონომიასა და ღირსებას.

შესაბამისად, გლასიუსი ავტორიტარულ პრაქტიკებს განმარტავს, როგორც „ქმედებების ქარგას, რომელიც ჩაქსოვილია ორგანიზებულ კონტექსტში და ძირს უთხრის ანგარიშვალდებულებას ხალხის ან მათი წარმომადგენლებისადმი, რომლებსაც პოლიტიკური აქტორი აკონტროლებს,მათთვის ინფორმაციაზე წვდომის გაუქმების ან მათი ხმის ჩახშობის გზებით.“ ავტორიტარულისგან განსხვავებით, არალიბერალური პრაქტიკა არის „ორგანიზებულ კონტექსტში ჩაქსოვილი ქმედებების ქარგა, რომელიც ხელყოფს პიროვნების ავტონომიასა და ღირსებას.“

ავტორიტარული და არალიბერალური პრაქტიკები, ანალიტიკური განსხვავებების მიუხედავად, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია. ანგარიშვალდებულების საბოტაჟი, რომელსაც ავტორიტარული პრაქტიკები ესწრაფვის, საბოლოოდ იწვევს ადამიანის უფლებებისა და მისი ძირეული ღირებულებების ინდივიდუალური ავტონომიისა და ღირსებისთვის ძირის გამოთხრასაც. იმავდროულად, არალიბერალური პრაქტიკების ფართოდ გამოყენება, საბოლოოდ, ასევე არყევს ანგარიშვალდებულებასაც.

შესაბამისად, ეს პრაქტიკები ერთმანეთს ფარავს და ერთმანეთს აძლიერებს. თუმცა მათ შორის ანალიტიკური გამიჯვნის შენარჩუნება მაინც სასარგებლოა, განსაკუთრებით, აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ, როგორც ავ-

ტორიტარული, ისე არალიბერალური პრაქტიკები არ არის ექსკლუზიურად დაკავშირებული რეჟიმის რომელიმე ტიპთან.

ეს პრაქტიკები გვხვდება როგორც კონსტიტუციურ დემოკრატიებში, ისე ჰიბრიდულ და ავტორიტარულ რეჟიმებში. თავისთავად, ამ პრაქტიკებში ჩართვა არ არის გადამწყვეტი რეჟიმის კლასიფიკაციისთვის, თუმცა მათმა კუმულაციურმა ეფექტებმა, შესაძლოა, რეჟიმის გარდაქმნა გამოიწვიოს.

ამ პრაქტიკების ჩაქსოვა კონკრეტულ კონტექსტებში ნიშნავს, რომ მათი ავტორიტარული ან არალიბერალური მიზნები მხოლოდ აღნიშნულ კონტექსტებში ვლინდება. მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ ეს მიზნები საბოლოოდ განისაზღვრება და დასტურდება რეტროსპექტულად მას შემდეგ, რაც დამაზიანებელი შედეგი დამდგარია.

ეს ნიშნავს, რომ განსაკუთრებით კონსტიტუციური და სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც ავტორიტარული და არალიბერალური პრაქტიკები ხორციელდება, ხშირად თავისთავად არ არის არც ავტორიტარული და არც არალიბერალური. ასეთად მათ აქცევს ავტორიტარული და არალიბერალური მიზნები, რომლებსაც მათ, ადგილობრივ კონტექსტებში, შესაბამისი ძალაუფლების აქტორები ანიჭებენ. არალიბერალური და ავტორიტარული კონსტიტუციონალიზმი არის პრაქტიკების ერთობლიობა, რომლებიც პარაზიტულადაა დამოკიდებული ლიბერალურ კონსტიტუციონალიზმზე და ბოროტად იყენებს ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელ ინსტიტუტებსა და მექანიზმებს (Uitz, 2021).

ამ განსაზღვრებების საფუძველზე, შესაძლებელია როგორც ავტორიტარული, ისე არალიბერალური პრაქტიკების ტიპოლოგიის შემუშავება. კერძოდ, ავტორიტარულ პრაქტიკებთან მიმართებით, შესაძლებელია გამიჯვნა იმის მიხედვით, თუ ანგარიშვალდებულების რომელ პროცესსა და არხს შეეხება შესაბამისი ავტორიტარული პრაქტიკა. თავად გლასიუსი აქ მოიაზრებს, ერთი მხრივ, ***ინფორმაციაზე წვდომის*** შეზღუდვის ზომებს, ხოლო მეორე მხირვ, ხალხის ***ხმის ჩახშობის*** ზომებს.

ასევე, არალიბერალურ პრაქტიკებთან მიმართებით, შესაძლებელია გამიჯვნა იმ ფუნდამენტური ღირებულებებისა და უფლებების მიხედვით, რომლებსაც მიზანში იღებს არალიბერალური პრაქტიკა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ არალიბერალური პრაქტიკები, რომლებიც მიზანში იღებს ძირითად სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს (მაგალითად, სიტყვის, შეკრების, გაერთიანების თავისუფლებები), იმავდროულად, შეიძლება ავტორიტარულ პრაქტიკებადაც კატეგორიზდეს, რამდენადაც მათი თანმდევი ეფექტი, ამ უფლებების ხელყოფასთან ერთად, ანგარიშვალდებულების საბოტაჟიცაა.

ავტორიტარული და არალიბერალური პრაქტიკების ანალიზი, ასევე, შესაძლებელია მათში ჩართული აქტორების მიხედვით. კერძოდ, ასეთი აქტორები შეიძლება იყვნენ ფორმალური ძალაუფლების ან ფორმალურ ძალაუფლებაზე კონტროლის მქონეები როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების, ორგანიზაციებისა თუ საერთაშორისო დონეებზე.

მნიშვნელოვანია ამ პრაქტიკების დონე კონსტიტუციურ და სამართლის სისტემაში. ავტორიტარული და არალიბერალური პრაქტიკები შესაძლოა განხორციელდეს კონსტიტუციურ დონეზე ან სამართლის მეშვეობით – სამართლის სისტემისა და საზოგადოების დონეებზე.

შედარებით საკონსტიტუციო სამართალში არალიბერალური და ავტორიტარული კონსტიტუციური პრაქტიკები უკვე არის ავტორიტარული (Tushnet, 2015; Frankenberg, 2019) და არალიბერალური კონსტიტუციონალიზმის (Landau, 2021; Sajó 2021) შესახებ აკადემიური ლიტერატურის ფოკუსში. ამ მხრივ, ავტორიტარული და არალიბერალური პრაქტიკების ანალიზის კონსტიტუციური დონე მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს შემთხვევაშიც.

ანალიზის კონსტიტუციური დონის მიღმა, მნიშვნელოვანია ავტორიტარული და არალიბერალური პრაქტიკების ანალიზი კანონმდებლობის, საჯარო პოლიტიკის, აღმასრულებელი, თვითმმართველობისა და სასამართლო ორგანოების პრაქტიკის, ასევე, არაფორმალური ინსტიტუტებისა და ძალაუფლების არაფორმალური აქტორების პრაქტიკების დონეებზე.

1.3 ავტორიტარული და არალიბერალური პრაქტიკები საქართველოში – საკვლევი დანდშაფტის მიმოხილვა

ავტორიტარული და არალიბერალური პრაქტიკების განსაზღვრებისა და ზოგადი ტიპოლოგიის განხილვის შემდეგ, საჭიროა ამ მეთოდოლოგიის ოპერაციონალიზაცია ქართულ კონტექსტში და გამოკვეთა ავტორიტარული და არალიბერალური პრაქტიკების იმ ტიპებისა, რომლებიც განსაკუთრებით მომწიფებულია გამოსაკვლევად.

ავტორიტარული პრაქტიკები

ავტორიტარული პრაქტიკები შეგვიძლია დავაჯგუფოთ შემდეგი ზოგადი შედეგების მიხედვით:

ა) აღმასრულებელი ხელისუფლების მიტაცება და ძალაუფლების კონსოლიდაცია აღმასრულებელი ინსტიტუტების გარშემო;

ბ) დამოუკიდებელი ინსტიტუტების მიტაცება, მათი გამოყენება ძალაუფლების ანგარიშვალდებულების მოსაშლელად;

გ) ანგარიშვალდებულების არსებული კონსტიტუციური მექანიზმების საბოტაჟი და მოშლა;

დ) ძალაუფლებაში მყოფი ლიდერების მიერ ძალაუფლებაში მუდმივად დარჩენის თვითუზრუნველყოფა, დემოკრატიული და კონსტიტუციური პროცესების ბოროტად გამოყენების გზით;

ა) პუნქტთან მიმართებით, დამატებით გამოსაკვლევია ისეთი პრაქტიკები, როგორებიცაა: მთავრობის მიღმა არსებული, ნომინალურად დამოუკიდებელი, აღმასრულებელი ან კვაზიაღმასრულებელი ფუნქციის მქონე ინსტიტუტების მიტაცება და მათი ძალაუფლების ერთიან ვერტიკალში ინტეგრაცია როგორც საკონსტიტუციო, ისე საკანონმდებლო ხელფორმისა და არაფორმალური პრაქტიკების ერთობლიობის მეშვეობით. ფოკუსში შესაძლებელია მოექცეს შემდეგი ინსტიტუტები: პროკურატურა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები (კომუნიკაციისა და ენერგეტიკის კომისიები), ცენტრალური საარჩევნო კომისია და საარჩევნო ადმინისტრაცია.

ცალკე შეიძლება იყოს გამოკვლეული კოვიდ 19-ის პანდემიის მართვა აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის უკონტროლო დისკრეციული უფლებამოსილების დელეგირების საფუძველზე, რომლითაც, ფაქტობრივად, საკანონმდებლო ავტორიზაციით შეიქმნა საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმი და რომლის კონსტიტუციურობაც დაადასტურა მიტაცებულმა საკონსტიტუციო სასამართლომ.

ბ) პუნქტთან მიმართებით, ფოკუსში შეიძლება მოექცეს ისეთი დამოუკიდებელი ინსტიტუტები, როგორებიცაა კონსტიტუციურ დონეზე – სახალხო დამცველი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური და ეროვნული ბანკი, ხოლო საკანონმდებლო საფუძველზე შექმნილ ინსტიტუტებს შორის – სპეციალური საგამოძიებო სამსახური, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და ანტიკორუფციული სამსახური.

გ) პუნქტთან მიმართებით, დამატებით გამოსაკვლევია სამართლის უზენაესობის ბოროტად გამოყენებისა და მისი ხელყოფის პრაქტიკები როგორც კონსტიტუციურ და საკანონმდებლო დონეებზე, ისე აღმასრულებელ და არაფორმალური ძალაუფლების მქონე აქტორების პრაქტიკებში. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუტების მიტაცების გამოკვლევა როგორც საკონსტიტუციო კონტროლის, ისე საერთო სასამართლოების დონეებზე.

დამატებით, შესაძლებელია იმ პრაქტიკების გამოკვლევაც, რომლებიც ასუსტებს და ძირს უთხრის მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლს, მათ შორის, საპარლამენტო ოპოზიციის საქმიანობაზე ბარიერებისაც.

გ) პუნქტთან მიმართებით, დამატებით, გამოსაკვლევია ის კონსტიტუციური, საკანონმდებლო და არაფორმალური პრაქტიკები, რომლებიც მიმართულია საარჩევნო პროცესის იმგვარად წარსამართავად, რომ უზრუნველყოს მმართველთა ძალაუფლებაში მუდმივი დარჩენა. ამ მხრივ, საკონსტიტუციო და საკანონმდებლო პრაქტიკებს მიღმა, მნიშვნელოვანია არაფორმალური პრაქტიკების შესწავლაც, რომლებიც ფორმალურ ძალაუფლებასთან კომბინაციაში გამოიყენება რეჟიმის მხარდამჭერთა საარჩევნო მობილიზაციისთვის. ასეთი პრაქტიკებია: ა) საჯარო სექტორში (სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სსიპ-ებისა და საწარმოების/სამეწარმეო იურიდიული პირების ჩათვლით) დასაქმება საარჩევნო მობილიზაციის სანაცვლოდ; ბ) რეპრესიული ინსტრუმენტების გამოყენებაზე უარი საარჩევნო მობილიზაციის სანაცვლოდ (პირობით ვადამდე გათავისუფლების, პირობითი მსჯავრის, ამნისტიის, მათ შორის, ჯარიმების ამნისტიის, ჩამორთმეული უფლების დაბრუნების დაპირება/გამოყენება საარჩევნო მობილიზაციის სანაცვლოდ); გ) რეჟიმთან დაკავშირებული ბიზნესების (მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების/ტენდერების მიმღები კომპანიების) გამოყენება საარჩევნო მობილიზაციისთვის; დ) საარჩევნო ხმის პირდაპირი ყიდვის პრაქტიკები.

ორაზროვანი პრაქტიკები

არალიბერალური პრაქტიკები შეიძლება დავაჯგუფოთ ორი ძირითადი ტიპის ქვეშ, მათი შედეგების მიხედვით:

ა) ინდივიდუალური ავტონომიისა და ღირსების ხელყოფა და ძალაუფლებაზე დამოკიდებულების გაზრდა;

ბ) სახელმწიფო ნეიტრალიტეტის კონსტიტუციური პრინციპის ხელყოფა და ორსებითი ეთიკური მიზნების კონსტიტუციონალიზაციისა და კანონმდებლობაში ასახვის გზით, საზოგადოებაში თანასწორობის დარღვევა, რეჟიმის ღიალისტი/დომინანტი ჯგუფებისთვის პრივილეგიების განმტკიცება;

ა) პუნქტთან მიმართებით, საქართველოს კონტექსტში, რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი იმსახურებს გამოკვლევას. ესენია:

- ***მასობრივი უკანონო თვალთვალი და მიყურადება*** *(Feldstein, 2021) – ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს ოღი, რომელიც „მოსმენების საქმეზე", უკვე მე-5 წელი, გადაწყვეტილების მიღებლობით, კანონმდებლობაში ინარჩუნებს კონსტიტუციის საწინააღმდეგო შავ ხვრელს, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აძლევს მასობრივი უკანონო მიყურადებისა და თვალთვალის „კანონიერად" განხორციელების შესაძლებლობას. ამ მიმართულებით, გამოკვლევას იმსახურებს ე.წ. სუს-ის ფაილების გაჟონვის საქმე და მასზე სახელმწიფოს არაადეკვატური სამართლებრივი პასუხი.*

- ***გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, მედიაკონტროლი, ჟურნალისტების დევნა და ოპერაციები*** *– საქართველოში დაფიქსირდა ყველა ის პრაქტიკა, რომელსაც მკვლევრები გამოყოფენ ავტორიტარულ და არალიბერალურ რეჟიმებში მედიის კონტროლის ზომებად (Culloty and Suiter, 2021), კერძოდ: ა) მესაკუთრეობის მიტაცება („რუსთავი 2 -ის" საქმე); ბ) ფინანსური პრობლემების შექმნა მიტაცების მიზნით („მთავარი არხისა" და „ფორმულის" მიმდინარე საქმეები); გ) ოფგულატორული ზეწოლა – ამ მხრივ, აღსანიშნავია კომუნიკაციების კომისიის გადაცემა მედიის ცენზურის მექანიზმად, მათ შორის, ოპოზიციური მედიის სელექციური დასჯა; დ) თავდასხმები და დევნა, მათ შორის, სამართლებრივი ოპერაციები – აქ მნიშვნელოვანია ნიკა გვარამიას პოლიტიკური პატიმრობის საქმე. ასევე, რეჟიმის მიერ ორკესტრირებული „პოგრომი" ჟურნალისტების მიმართ 2021 წლის 5 ივლისს და ჟურნალისტებზე თავდასხმისა და დევნის მრავალი ინდივიდუალური საქმე.*

- *ყუსადღებას იმსახურებს გამოხატვის თავისუფლების სტანდარტისა და კონსტიტუციური დაცვის გაუარესება ციბისწამების საქმეების პრაქტიკაში საერთო სასამართლოების მიერ, კერძოდ, იმ საქმეებზე, რომლებშიც მოსარჩელეები არიან ხელმძღვანელობის ცენტრალური საჯარო ფიგურები და მათი ოჯახის/გარემოცვის წევრები.*

- ***შეკრების თავისუფლებისა და საპროტესტო მობილიზაციის შეზღუდვა (Hamilton, 2021)*** *– ამ მხრივ, შესასწავლია როგორც ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევათა კოდექსის ხარისხობრივი დეფექტების რეპრესიული ინსტრუმენტალიზაცია, ისე საპოლიციო პრაქტიკები პროტესტის წინააღმდეგ, ასევე, სხვა რეპრესიული პრაქტიკები საპროტესტო მობილიზაციის წინააღმდეგ (საჯარო მოხელეების იძულება, არ ისარგებლონ საპროტესტო უფლებებით, რეპრესიული ზომები პროტესტში მონაწილეობის გამო, მონაწილე პირისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ და აშ.)*

- ***ნარკოპოლიტიკის ინსტრუმენტალიზაცია საარჩევნო მობილიზაციისთვის და ადამიანების ხელიმზე დამოკიდებულის გასაზრდელად*** *– აქ ყუსადღებას იმსახურებს როგორც რეპრესიული ზომების გამოყენება (ჯარიმა, პირობითი მსჯავრი, პატიმრობა და სასჯელისგან გათავისუფლების დაპირება), ისე ზრუნვის ზომების ბოროტად გამოყენება (მეტადონის პროგრამის ბენეფიციარების კონტროლი და საარჩევნო მობილიზაცია).*

- ***სოციალური დახმარების სისტემის ინსტრუმენტალიზაცია საარჩევნო მობილიზაციისთვის და ადამიანების ხელიმზე დამოკიდებულების გასაზრდელად.***

ბ) პუნქტთან მიმართებით, გამოსაკვლევია:

- *2016 წლის არჩევნებზე ევროინტეგრაციისა და უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვის აკრძალვის კონსტიტუციურად დადგენის მხარდასაჭერი საარჩევნო კამპანიისას ჰომოფობიური და ქსენოფობიური რიტორიკის ინსტრუმენტალიზაცია, ხოლო საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ, ამ ზომების კონსტიტუციონალიზაცია.*

- *ცალკე გამოკვლევას იმსახურებს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პრივილეგირებული კონსტიტუციური სტატუსი და შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა და პრაქტიკები, რომლებიც განამტკიცებს ამ პრივილეგირებულ მდგომარეობას საზოგადოებაში.*

1.4 დასკვნა

ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, საქართველოში ძალაუფლების პრაქტიკების ანალიზმა ავტორიტარული და არალიბერალური პერსპექტივიდან, უნდა შექმნას თანმიმდევრულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული სისტემატიზებული ემპირიული მონაცემები საქართველოს კონსტიტუციური სისტემისა და პოლიტიკური რეჟიმის ფუნქციონირების შესახებ. ამ სამუშაოს საბოლოო მიზანი არ არის საქართველოს პოლიტიკური რეჟიმის კლასიფიკაციის საკითხზე დასკვნების გაკეთება. თუმცა ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე დაგროვებული ცოდნის მონაცემებად გამოყენებას შეძლებენ ის მკვლევრები, რომლებიც რეჟიმის კლასიფიკაციით არიან დაკავებული.

ბიბლიოგრაფია

1. Freedom in The World Report, 2023, Georgia, Freedom House, *https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2023*
2. Morlino, Leonardo. "Hybridregimes." In Routledge Handbook of Illiberalism, pp. 142-151. Routledge, 2021.
3. Kakachia Kornely, Lebanidze Bidzina, Georgia's Slide to Authoritarianism, *https://carnegieeurope.eu/strategiceurope/89260*
4. Lührmann, Anna, and Staffan I. Lindberg. "A third wave of autocratization is here: what is new about it?" Democratization 26, no. 7 (2019): 1095-1113.
5. V Dem Democracy Report 2023, Defiance in the Face of Autocratization, *https://www.v-dem.net/documents/29/V-demdemocracyreport2023_lowres.pdf*
6. Little, Andrew and Meng, Anne, Subjective and Objective Measurement of Democratic Backsliding (January 17, 2023). Available at SSRN: *https://ssrn.com/abstract=4327307*
7. Glasius, Marlies. "What authoritarianism is... and is not: a practice perspective." International affairs 94, no. 3 (2018): 515-533.
8. Glasius, Marlies. "Illiberal Practices." In Routledge Handbook of Illiberalism, pp. 339-350. Routledge, 2021.
9. Uitz, Renáta. "Constitutional Practices in Times "After Liberty"." In Routledge Handbook of Illiberalism, pp. 442-465. Routledge, 2021.
10. Culloty, Eileen, and Jane Suiter. "Media Control and Post-truth Communication." Routledge Handbook of Illiberalism (2021): 365-383.
11. Feldstein, Steven. "Surveillance in the Illiberal State." In Routledge Handbook of Illiberalism, pp. 351-364. Routledge, 2021.
12. Hamilton, Michael. "The Management of Protest and Dissent." In Routledge Handbook of Illiberalism, pp. 384-402. Routledge, 2021.
13. Csaba, László. "Illiberal economic policies." Routledge Handbook of Illiberalism (2021): 674-690.
14. Bluhm, Katharina, and Mihai Varga. "Conservative developmental statism in east central Europe and Russia." New Political Economy 25, no. 4 (2020): 642-659.
15. Yakovlev, Andrei. "Composition of the ruling elite, incentives for productive usage of rents, and prospects for Russia's limited access order." Post-Soviet Affairs 37, no. 5 (2021): 417-434.
16. Treisman, Daniel, How Great is the Current Danger to Democracy? Assessing the Risk With Historical Data. Comparative Political Studies, 0(0). (2023).
17. Gorokhovskaia Yana, Linzer Isabel. DEFENDING DEMOCRACY IN EXILE: POLICY RESPONSES TO TRANSNATIONAL REPRESSION, Freedom House, (2022).
18. Linz, Juan. Totalitarian and Authoritarian Regimes. (1975)
19. Tushnet, Mark. Authoritarian Constitutionalism, 100 Cornell L. Rev. 391 (2015)
20. Frankenberg, Günter. Authoritarian constitutionalism: coming to terms with modernity's nightmares. (2019).
21. Sajó, András. Ruling by Cheating: Governance in Illiberal Democracy. Cambridge Studies in Constitutional Law. Cambridge: Cambridge University Press, 2021.
22. Landau David. The Myth of the Illiberal Democratic Constitution, In Routledge Handbook of Illiberalism, pp. 425-441; (2021).